

## სატენდერო განცხადება

სს „კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი“ აცხადებს ტენდერს ტრავმატოლოგიური იარაღების შესყიდვის შესახებ, წინამდებარე სატენდერო განცხადებაზე თანდართული დანართი N1-ით (ტექნიკური მოთხოვნები/წინადადება) განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად:

### პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

- კომპანიის რეკვიზიტები: სრული დასახელება, მისამართი და საკონტაქტო ტელეფონები, პასუხისმგებელი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ბოლო სამი თვის განმავლობაში მომზადებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- კომპანიის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია (საქმიანობის მოკლე აღწერილობა, გამოცდილება, კლიენტების სია ბოლო 3 წლის განმავლობაში და თითოეულ კლიენტთან დაკავშირებით გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის ჯამური ღირებულება. ამასთან, უპირატესობა მიენიჭება იმ პრეტენდენტებს, რომელთაც აქვთ ანალოგიური პროექტის განხორციელების გამოცდილება);
- პრეტენდენტის წინადადება (დანართი N1)
- შევსებული აფიდავიტი (დანართი №2);
- შევსებული და შესაბამისი უფლებამოსილი პიროვნების მიერ ხელმოწერილი შეთანხმება კონფიდენციალურობაზე (დანართი N3).

სამუშაოები/მიწოდება უნდა განხორციელდეს აღნიშნულ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა სრული დაცვით.

იმ შემთხვევაში, თუკი საქონლის და მომსახურების მიწოდება/სამუშაოთა შესრულება იგეგმება ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მეშვეობით, დაინტერესებული კანდიდატ(ებ)ის მიერ ასევე წარმოდგენილ უნდა იქნეს ქვეკონტრაქტორ(ებ)ის შესახებ მონაცემები, ზემოაღნიშნული საბუთების სახით.

პრეტენდენტი პასუხისმგებელია დამკვეთის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე, როგორც შერჩევის პროცესის მსვლელობის, ასევე მისი დასრულების შემდეგ მიუხედავად ტენდერის შედეგებისა.

ტენდერში გამარჯვებულ პირს, ხელშეკრულების გაფორმებამდე 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე ან ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში, შესაძლოა მოეთხოვოს შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენის ვალდებულება (ამასთან, მოცემული დოკუმენტაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, გამარჯვებული პრეტენდენტი გამოაცხადოს დისკვალიფიცირებულად და უარი თქვას შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე):

- შემსყიდველისათვის მისაღები ბანკიდან/სადაზღვევო კომპანიიდან ხელშეკრულების შესრულების გარანტია მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით. გარანტიის მოქმედება 3 (სამი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.
- ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველისათვის მისაღები ბანკიდან/სადაზღვევო კომპანიიდან გარანტიის წარმოდგენა – საავანსო თანხის ღირებულების ოდენობით.

- განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან კომპანიის რეგისტრაციის შესახებ და საბანკო რეკვიზიტები დადასტურებული შესაბამისი ბანკის ბეჭდით;
- ინფორმაცია რეორგანიზაცია/ლიკვიდაციის შესახებ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის.
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.
- გადამხდელის სტატუსი - "დღგ"-ს გადამხდელი ან "შეღავათების მქონე გადამხდელი";
- ცნობა საგადასახადო სამსახურიდან დავალიანების არარსებობის შესახებ;

კანდიდატებს შეიძლება მოეთხოვოთ სხვა დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის ვალდებულება, რაზეც ეცნობებათ დამატებით და განესაზღვრებათ შესაბამისი ვადა. წინამდებარე განცხადებაში აღნიშნულ ვადებში ამავე განცხადებით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარუდგენლობა შეიძლება გახდეს ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმის ან გაფორმებული ხელშეკრულების ცალმხრივად, დაუყოვნებელი შეწყვეტის საფუძველი.

სატენდერო კომისიის მიერ სატენდერო წინადადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის ზოგადი შეფასების კრიტერიუმები პრიორიტეტულობის მიხედვით არის შემდეგი:

- ხარისხი
- ღირებულება
- ღირებულების გადახდის ვადა
- სამუშაოების შესრულების ვადა

დაინტერესებულმა კანდიდატებმა სატენდერო წინადადება თანდართულ მოთხოვნილ დოკუმენტაციასთან ერთად, უნდა ატვირთონ ელექტრონული ფორმით შემდეგ ვებსაიტზე: [etenders.ge](http://etenders.ge) (შესაბამისი ბმულის გამოყენებით). გვერდები აუცილებლად უნდა დაინომროს და დამოწმდეს კომპანიის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ. დოკუმენტაცია პრეტენდენტისთვის დაბრუნებას არ ექვემდებარება.

სატენდერო წინადადებების თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად მიღება დაიწყება 2023 წლის 17 ივლისის 12:00 საათიდან.

სატენდერო წინადადებების თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად მიღება დასრულდება 2024 წლის 19 ივლისის 16:00 საათზე.

ტენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციის მიღება, საჭიროების შემთხვევაში ადგილზე დათვალიერება, ინფორმაციის დაზუსტება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კ. ჩაჩავას ქ. N7, საკონტაქტო პირი - დავით ბიჭიაშვილი ტელ: 593 99 10 07 ელ. ფოსტა: [david.bichiashvili@aversi.ge](mailto:david.bichiashvili@aversi.ge); თამარ მეურმიშვილი ტელ: 555 51 14 72; ელ. ფოსტა: [tamar.meurmishvili@aversi.ge](mailto:tamar.meurmishvili@aversi.ge); ან ირაკლი ხარშილაძე, ტელ: 555 39 22 44, ელ. ფოსტა: [Irakli.kharshiladze@aversi.ge](mailto:Irakli.kharshiladze@aversi.ge)

**შენიშვნა:**

დამკვეთს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება შემსრულებლის მხრიდან სამუშაოების შესრულების/საქონლის მიწოდების ვადების 1 კვირით ან მეტი ვადით დარღვევის შემთხვევაში. ასევე, ასეთ შემთხვევაში დამკვეთის მიერ მოთხოვნილი იქნება გარანტიის განაღდებაც (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სატენდერო განცხადებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს პრეტენდენტის ტენდერიდან დისკვალიფიკაციის საფუძველი.

წინამდებარე ტენდერის საფუძველზე პრეტენდენტ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი პერსონალური მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხილული და დამუშავებული იქნება მხოლოდ წინამდებარე ტენდერის ფარგლებში. ამასთან, წინამდებარე სატენდერო განცხადების საფუძველზე პრეტენდენტ(ებ)ის მიერ სატენდერო წინადადების (შესაბამისი დოკუმენტაციისა და მათ შორის პერსონალური მონაცემების) წარმოდგენა ადასტურებს პრეტენდენტ(ებ)ის თანხმობას აღნიშნული პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე.